5 ნოემბერი 2021 წელი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროგრამის“ სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი N 2

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **სხდომის თავმჯდომარე:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი ტაბაღუა;**
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **ბესიკ ტოგონიძე;**
3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - **ლევან კავთიაშვილი;**
4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი - **ზაზა ზაზაძე;**
5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - **ეკა პაპუაშვილი;**
6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - **გიორგი დვალი;**
7. პროგრამის კოორდინატორი - **მამუკა მამაიაშვილი.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. სამუშაო ჯგუფის სხდომის მდივნის განსაზღვრა.
2. ქალაქ რუსთავში მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის მიმდინარეობა და შედეგების განხილვა-დამტკიცება.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის წინადადება: სამუშაო ჯგუფის მდივნის მოვალეობა დაევალოს სამუშაო ჯგუფში პროგრამის კოორდინატორს, რომელიც წარმოგვიდგენს ინფორმაციას.

სამუშაო ჯგუფის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას.

პროგრამის კოორდინატორის/სხდომის მდივნის - **მამუკა მამაიაშვილის** მოხსენება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის პროცესთან დაკავშირებით.

მამუკა მამაიაშვილი: მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში პროექტი სლოგანით **„დაგეგმე შენი ბიუჯეტი“** ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. პროექტი ხორციელდება საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში შერჩეული საპროექტო წინადადებების დაფინანსება ხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალური ბიუჯეტიდან. პროექტი შედგება ორი ძირითადი ეტაპისაგან:

I ეტაპზე რუსთავში რეგისტრირებულმა მოქალაქეებმა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით წარმოადგინეს საპროექტო წინადადებები, რომელთაც სურთ ზემოაღნიშნული დაფინანსდეს რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

II ეტაპზე - ელექტრონული პლატფორმის საშუალობით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო პროექტის განხოციელებით დაინტერესებულ მოქალაქეს. გამარჯვებულად გამოცხადდება ის პროექტ(ებ)ი, რომელიც მიიღებს ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.rustavi.gov.ge) განთავსებული იყო ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები აძლევდნენ ხმას მათთვის სასურველ პროექტებს (იხ. დანართი 1).
დღეის მდგომარეობით დასრულებულია პროექტების შერჩევის ორივე ეტაპი და წარმოგიდგენთ ცხრილის სახით 10 პროექტთან დაკავშირებით მიღებული ხმების გადანაწილებას:

N	პროექტის სახელი	ხმათა რაოდენობა	ტერ. ორგანო	ადგილი
1	მრავალფუნქციური სათემო სკვერი - სკამები, განათება, გამწვანება, საბავშვო და სპორტული მოედნები, ფანჩატური მე-8 მკ/რ N2-ის მიმდებარედ	284	ჟიული შარტავას სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
2	სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცე - გურამიშვილის ქუჩაზე N9, 5 და 11 ნომერებს შორის მდებარე ძველი სპორტული მოედნის განახლება-კეთილმოწყობა	63	ვახტანგ გორგასლის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
3	რუსთავის ცენტრალურ პარკში შინაური ცხოველებისათვის განკუთვნილი სივრცის მოწყობა	98	ძველი რუსთავის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
4	კალათბურთის მოედანი - მე-12 მკრს N3-4 კორპუსების ეზოში სკვერის გვერდით	158	იაკობ ცურტაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
5	უბნის სკვერი - მე-12 მკრ N36-37-38 კორპუსების მიმდებარედ სკვერის მოწყობა	86		2
6	რუსთავში ფალიაშვილის N7ა-ს N7 და მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ სპორტული და საბავშვო მოედნის კომპლექსი	321	შოთა რუსთაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
7	საბავშვო ატრაქციონების მოწყობა ახმეტელის N6	213		2
8	მინი სპორტული კომპლექსი მეგობრობის მე-2 გასასვლელის N3-ის სამეზობლოსთვის	64		3
9	სტადიონი მე-14 მკ/ნ 39 კორპუსთან	82	ილია ჭავჭავაძის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული	1
10	სპორტული მოედანი შარტავას N5-ის ეზოში	56		2

სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი პროექტები და ელექტრონული კენჭისყრით დაფიქსირებული ხმების რაოდენობა.

ზაზა ზაზაძე: როგორც თქვენთვის ცნობილია, სამუშაო ფორმატში ჩვენი სამსახურის მიერ დამატებით განხორციელდა ამ პროექტების კონცეფციების შესწავლა და გაანალიზება დღევანდელი სამშენებლო სტანდარტებისა და სამომავლოდ ქალაქში დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტების გათვალისწინებით, რის შემდგომაც მოხდა პროექტების გადაფასება ძირითადად ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით.

ეკა პაპუაშვილი: დავეთანხმები ბატონ ზაზას, რომ სპეციალისტების მიერ ტერიტორიების შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რაც არქიტექტურულ ნაწილში სრულად ვერ აკმაყოფილებდა წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისობას სამშენებლო სტანდარტებთან.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს კენჭისყრის შედეგებზე, გაითვალისწინეს სამომავლო ქალაქ დაგეგმარების ხედვები ერთხმად

დაადგინეს:

1. „დაგეგმე შენი ბიუჯეტის“პროექტის ფარგლებში გამოცხადდეს გამარჯვებულად შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

    1.1 ჟიული შარტავას სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში - მრავალფუნქციური სათემო სკვერი - სკამები, განათება, გამწვანება, საბავშვო და სპორტული მოედნები, ფანჩატური მე-8 მკ/რ N2-ის მიმდებარედ.
    1.2 ვახტანგ გორგასლის სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში - სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცე - გურამიშვილის ქუჩაზე N9, 5 და 11 ნომერებს შორის მდებარე ძველი სპორტული მოედნის განახლება-კეთილმოწყობა.
    1.3 შოთა რუსთაველის სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში - რუსთავში ფალიაშვილის N7ა-ს N7 და მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ სპორტული და საბავშვო მოედნის კომპლექსი.
    1.4 ილია ჭავჭავაძის სახელობის ადმინისტრაციულ ერთეულში - სტადიონი მე-14 მკ/ნ 39 კორპუსთან.

2. ზაზა ზაზაძეს დაევალოს უმოკლეს ვადებში მოახდინოს გამარჯვებული წინადადებების განხორციელებისთვის საჭირო სამუშაობზე პროექტების შემენა და წარადგინოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.

3. ლევანი კავთიაშვილს დაევალოს 2022 წლის რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროექტები შესაბამისი სავარაუდო ღირებულებებით.

ოქმის სისწორეს დამსწრე წევრები ადასტურებენ ხელმოწერით

ირაკლი ტაბაღუა

ეკა პაპუაშვილი

ბესიკ ტოგონიძე

გიორგი დვალი

ლევან კავთიაშვილი

მამუკა მამაიაშვილი

ზაზა ზაზაძე

NEXTRO ABLE

სტატისტიკა

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი - სამოქალაქო ბიუჯეტირება 2021

დაწყების თარიღი: 08/10/2021 14:48

დასრულების თარიღი: 01/11/2021 01:00

სულ ხმების რაოდენობა: 1425

უნიკალური ხმების რაოდენობა: 1431

1 სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცე - გურამიშვილის ქუჩაზე N9, 5 და 11 ნომერებს შორის მდებარე ძველი სპორტული მოედნის განახლება-კეთილმოწყობა

4.4%
63 ხმა

2 სპორტული მოედანი შარტავას N5-ის ეზოში

3.9%
56 ხმა

3 სტადიონი მე-14 მკ/ნ 39 კორპუსთან

5.8%
82 ხმა

4 მრავალფუნქციური სათემო სკვერი - სკამები, განათება, გამწვანება, საბავშვო და სპორტული მოედნები, ფანჩატური მე-8 მკ/ნ 2-ის მიმდებარედ

19.9%
284 ხმა

5 საბავშვო ატრაქციონების მოწყობა ახმეტელის -6

14.9%
213 ხმა

6 უბნის სკვერი - მე-12 მკრ N36-37-38 კორპუსების მიმდებარედ სკვერის მოწყობა

6.0%
86 ხმა

7 კალათბურთის მოედანი - მე-12 მკრს N3-4 კორპუსების ეზოში სკვერის გვერდით

11.1%
158 ხმა

NEXTRO ABLE

6.9% 98 ხმა

9 რუსთავში ფალიაშვილის N7ა-ს N7 და მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ სპორტული და საბავშვო მოედნის კომპლექსი

22.5%
321 ხმა

10 მინი სპორტული კომპლექსი მეგობრობის მე-2 გასასვლელის N3-ის სამეზობლოსთვის

4.5%
64 ხმა